ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №80/17

ქ. ამბროლაური

18 სექტემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მერის რატი ნამგალაძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორე მხრივ, შ.პ.ს. ,,ლადო", წარმოდგენილი დირექტორის ზაზა სულაძის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე, აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის(NAT 1700008977) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ''(შემდგომ - ,,ხელშეკრულება'') - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაშია მინიშნებული;

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება'' ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია'' (შემდგომ "შემსყიდველი'') ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი'' ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,, სამუშაო'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების ობიექტია ქალაქ ამბროლაურში კოსტავას ქუჩის მიმდებარედ არსებული ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები . CPV 45112720

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 104 001 (ას ოთხი ათას ერთი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ,,შემსყიდველი'' უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

4.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი'' დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ,, მიმწოდებელს'' დაწუნებული სამუშაოების ნაწილის შესახებ წუნდების მიზეზების მითითებით.

4.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი'' კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი'' კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომით ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი''.

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება შ.პ.ს. ,,ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის'' მიერ.

5. სამუშაოს შესრულების ვადები

5.1 ,, მიმწოდებელი'' ვალდებულია სამუშაოს მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიმდინარე წლის 16 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების დადებიდან 10(ათი) კალენდარული დღის ვადაში, მიმდინარე წლის 27 სექტემბრის ჩათვლით.

5.3 ხელშეკრულების დამდეგ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილება მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება- ჩაბარების წესი

6.1 ,,შემსყიდველი'' შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ანგარიშსწორება

7.1 შესყიდვაში გამოიყენება საავანსო ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 30 %-ის ოდენობით, ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს საბანკო გარანტია მოთხოვნილ თანხაზე, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 20 დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადას. მიმდინარე ანგარიშსწორებისას მოხდება ავანსის სრული დაკავება.

7.2 შესყიდვაში გამოიყენება ეტაპობრივი ანგარიშსწორება, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 70%-ისა.

7.2 მიმდინარე ან/და საბოლოო ანგარიშსწორება ხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7.2 ,,მიმწოდებლის'' წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება;(ფორმა #2)

ბ) ბეტონის ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი.

7.3 ანგარისწორების ფორმა იქნება უნაღდო(ლარებში).

7.4 ანგარიშსწორების ვადაა სამუშაოს შესრულების აქტის დამტკიცებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე;

8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადად განისაზღვრება 3(სამი) წელი, რომლის განმავლობაშიც ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლველი ძალის ზეგავლენით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი'' ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის დადგენილი შემთხვევებისა.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ.შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

11. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1.1 ,,შემსყიდველი'' უფლებამოსილია სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან'' მისთვის საჭირო ინფორმაცია.

11.2 ,,შემსყიდველი'' ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლის'' მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

11.3 ,,მიმწოდებელი'' უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს'' შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

11.4 ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა,ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა,ოდენობა)

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე,რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორი) გარდა ,,მიმწოდებლის'' მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები:

12.3 ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში ,,მიმწოდებელს'' დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.4 თუ ,,მიმწოდებელი'' გადააცილებს სამუშაოს დასრულების ვადას, ,,მიმწოდებელს'' დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

12.5 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 12.3 და 12.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადაგადაცილება შეადგენს 10 კალენდარულ დღეს, ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.6 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლის'' დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი'' იტოვებს უფლებას ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

12.8 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს'' ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.დაუძლეველი ძალა (ფორსმაჟორი)

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დრისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართოს სასამართლოს,საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრამდე.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

17.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

ქ.ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ქ.ამბროლაური. ბრატისლავა რაჭის ქ.11
ს/კ 222937473
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

მერი

რატი ნამგალაძე

მიმწოდებელი

შ.პ.ს. ,,ლადო"
ქ.რუსთავი. მეგობრობის გამზირი 18/44
ს/კ 416302405
სს ,,საქართველოს ბანკი" BAGAGE22
ა/ა GE66BG0000000286486600

დირექტორი

ზაზა ხულაძე